

ხელშეკრულება №23

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

13 სექტემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის "№84-ე საშუალო სკოლა" (შემდგომში- "შემსყიდველი") მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ყიფსიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „საკანცელარიო სამყარო“ (შემდგომში- "მიმწოდებელი") მისი დირექტორი მამუკა მეტრეველის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია №84 საჯარო სკოლის მიერ საკანცელარიო საქონლის შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკება.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია საკანცელარიო საქონლი

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრება მოთხოვნის შესაბამისად დ.დ.გ-ის ან სასაქონლო ზედნადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 4 დღის ვადაში "შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, წურწუმის ქ. №17.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის" (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში
(ლარებში).

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 ანგარიშსწორება “შემსყიდველის” მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 დღისა

7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი-თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

“შემსყიდველს” უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

“შემსყიდველი” ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება “მიმწოდებელთან” ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

“მიმწოდებელს” უფლება აქვს:

- მოთხოვოს “შემსყიდველს” შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

“მიმწოდებელი” ვალდებულია:

- მიაწოდოს “შემსყიდველს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება შესაბამისად სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დაგები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დაგები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" წუნდების მიხედვის მითითებით წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობებს "მიმწოდებელს".

14.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ თბილისის №84-ე საჯარო სკოლა

მისამართი: თბილისი, წურჭუმიასკ. №17.

საბანკო რეკვიზიტებია:

ს/ს ლიბერთი ბანკი, ისანი 4

ბ. LBRTGE22

ა.ა 34084113677

ს.კ 206031667

ორაკლი ყიფშიძე

სკოლის დირექტორი

მოვალეობის შემსრულებელი:



"მიმწოდებელი"

შპს „საკანცელარიო სამყარო“

მის:რობაქიძის №7

საბანკო რეკვიზიტებია:

პროკრედიტ ბანკი

ბ.კ MIBGGE22

ა. GE40PC0183600100024848

ს.კ 202335721

მამუკა მეტრეველი

შპს ხემდეანელი




მიღება-ჩაბარების აქტი

13 სექტემბერი 2011წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის
“№84 საჯარო სკოლა” (შემდგომში-“შემსყიდველი”) მისი დირექტორის
ირაკლი ყიფშიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „საკანცელარიო
სამყარო“ (შემდგომში-„მიმწოდებელი“) სახით 2011წლის 13 სექტემბერს
დადებული ხელშეკრულება № 23 საკანცელარიო საქონლის შესყიდვის
შესახებ 2011წლის 13 სექტემბერი მდგომარეობით შესრულებულია
თანხით 435 ლარი.


აქტი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რასაც
ვადასტურებთ ხელმოწერით მხარეები.

შემსყიდველი



/ირაკლი ყიფშიძის /

მიმწოდებელი



მეტრეველი/